# სათათბირო ოთახი

## საკონფერენციო მაგიდა

ლითონის დამოუკიდებელი მზიდი კონსტრუქცია. ლამინირებული მდფ ხის ფაქტურის ზედაპირით. მეტალის თეთრი დახრილი ფეხებით, ზედაპირზე მეტალის ორი ჩანართით - საკაბელო კორობებით (ზომიდან გამომდინარე, შესაძლოა ორის ნაცვლად ერთი კორობი). ფეხების იატაკზე ფიქსაციის მექანიზმით.

სიმაღლე 800 მმ
ზედაპირის პარამეტრები: 1800/1000 მმ
ზედაპირის სიმაღლე: 36 მმ

# სათათბირო ოთახი

## სკამი

საკონფერენციო სკამი ნაჭრის რბილი დასაჯდომით და საზურგით. მეტალის ქრომირებული მთლიანი ფეხით. პლასტმასის სახელურებით. ფერი - ყვითელი.

სკამის პარამეტრები 555X582X880 მმ

# მენეჯერის ოთახი



## მაგიდა

მეტალის კარკასზე დამაგრებული ლამინირებული მდფ ხის ფაქტურით. მაგიდას აქვს პროცესორის ჩასადები და ერთი ღია უჯრა. ზომები: 1600X800 სიმაღლე: 750 მმ



## სკამი

მბრუნავი სკამი ნაჭრის რბილი დასაჯდომით და საზურგით. მეტალის ფეხებით გორგოლაჭებზე. ფერი - ღია ვარდისფერი ან ნაცრისფერი (დამკვეთთან შეთანხმება)

სკამის ზომები:
650X590 50X780 50X885 მმ

# მენეჯერის ოთახი



## დივანი

ორადგილიანი რბილი დივანი
საზურგითა და ხის ფეხებით. ფერი - ღია
ნაცრისფერი.
ზომები:  1530X840X900 მმ

## ღია კარადა

ლამინირებული მდფ- ის კარადა ხის
ფაქტურითა და ალაგ-ალაგ თეთრი
ჩანართებით, ოთხ დანაყოფებიანი
ჰორიზონტალური, ღია თაროებით.

ზომები: 1800X1400X400 მმ

# გაყიდვების გუნდის ოთახი

## მაგიდა

მაგიდა არის განსხვავებული ფუნქციური კონსტრუქციის. ერთ მაგიდაზე ერთმანეთის საპირისპიროდ, იზოლირებულად ზის ორი ადამიანი. მაგიდა წარმოადგენს ლითონის დამოუკიდებელ მზიდ კონსტრუქციას ლამინირებული მდფ - ის ხის ფაქტურის ზედაპირით (2 მმ)
მეტალის თეთრი ფეხები, საკაბელო არხით. მაგიდაზე მიმაგრებულია კომპიუტერის პროცესორისთვის განკუთვნილი თეთრი მეტალის ყუთი. გამყოფი ტიხრის სიმაღლე მაგიდის ზედაპირიდან 500მმ

მაგიდის ზომები: 1400X1600მმ
სიმაღლე 750 მმ

# გაყიდვების გუნდის ოთახი

## სკამი

სკამი განცალკევებული სავარძლის რბილი  ბალიშითა და მისაყუდებლით. სახელურები - რბილი. მეტალის კონსტუქციის ფეხები ბოლოვდება გორგოლაჭებით. სავარძლის მარეგულირებელი მექანიზმი და ფერი შესათანხმებელია დამკვეთთან.

ზომები:
650X590. 50X780.  50X885

სკამის სავარაუდო ტექსტურა და ფერი შესათანხმებელია დამკვეთთან

## კედლის გამყოფი ტიხარი

გაყიდვების გუნდის ოთახს ორივე მხრიდან დერეფნისგან ჰყოფს ლამინირებული მდფ -ის სვეტებისგან სისქე 40მმ. მანძილი სვეტებს შორის 40 მმ, სიგანე 100მმ

**შენიშვნა: სვეტების კონსტრუქცია სიმყარესთან დაკავშირებით დასაზუსტებელია ხელოსნებთან.**

# მითერის სივრცე

## მაგიდა

მეტალის კარკასზე დამაგრებული ლამინირებული მდფ ხის ფაქტურით. მაგიდას აქვს პროცესორის ჩასადები და ერთი ღია უჯრა. ზომები: 1600X800 სიმაღლე: 750 მმ



## სკამი

მბრუნავი სკამი ნაჭრის რბილი დასაჯდომითა და საზურგით. მეტალის ფეხებით გორგოლაჭებზე. ფერი - ღია ვარდისფერი ან ნაცრისფერი (დამკვეთთან შეთანხმება)

სკამის ზომები:
650/590 50X780 50X880 მმ

# მოსაცდელი

## დივანი

ნაჭრის რბილი, ორ ან სამადგილიანი დივანი საზურგით. ფერი - მუქი ნაცრისფერი, მეტალის ფეხებზე.

ზომა:
2500X950X800 მმ

# შემოსასვლელი

## მრგვალი მაგიდა

მრგვალი მაგიდა რკინის ოთხფეხიანი შავი მეტალის კონსტრუქციითა და ხის ზედაპირით.

მაგიდის სიმაღლე: 600 მმ ზედაპირის რადიუსი: 250 მმ

# სასადილო კუთხე

## მაგიდა

კედლის ჭრილში შედგმული გაორმაგებული ლამინირებული მდფ - ის ზედაპირის მქონე მაგიდა. ფაქტურა - ხის. სისქე - 36 მმ.
მაგიდა დგას შავი ოთხკუთხა მეტალის ფეხებზე და გააჩნია ჰორიზონტალური მეტალის მილის კარკასი.
მაგიდის ზედაპირის ზომები: 600X3000
სიმაღლე: 900 მმ

## ბარის სკამი

ბარის სკამი რბილი დასაჯდომით, ხის ფეხებზე. მისაყუდებელი ხის. ფერი - შავი

ზომები: 460X550X1190X760X300

**შენიშვნა: მაგიდის ზედაპირის სამივე მხარე უნდა ეხებოდეს კედლებს და ზუსტად იყოს მოთავსებული ჭრილში.**

# სასადილო კუთხე

## დახურული თაროები

ხის ფაქტურის ლამინატისგან დამზადებული დახურული თაროები. ზომები: 1000X3000X300 mm დამკვეთთან შეთანხმებით, შესაძლებელია თაროების სიმაღლის გაზრდა მისი ფუნქციიდან გამომდინარე.

## კერამიკული ფილა

კერამიკული ფილა გეომეტრიული ორნამენტით

# სამზარეულო



## დახურული თაროები

მასალა: შეღებილი მდფ. ზედაპირი - ხის ფაქტურის მდფ. ნელი გაღების მექანიზმი. სათავსოების განლაგება შესათანხმებელია დამკვეთთან.

## კერამიკული ფილა

კერამიკული ფილა გეომეტრიული ორნამენტით

## მაცივარი

ზომები: 1440X540X540

# ტუალეტის უჯრედი

## ხელსაბანი / სარკე

მასალა: კერამოგრანიტის ფილა, ლამინირებული მდფ ხის ფაქტურით. ჰორიზონტალური სანათი სარკეზე.

**შენიშვნა: ხელსაბანს შესაძლებელია ჰქონდეს ერთი ცალი ონკანი ორის ნაცვლად. შესაბამისად - კერამოგრანიტის ნიჟარაც. (დამოკიდებულია ადგილზე ჩატარებულ აზომვებზე).**

# ტუალეტის უჯრედი

# ოპერატორების სივრცე




## მაგიდა

მასალა: ლამინირებული მდფ ხის ფაქტურით. მაგიდას აქვს ორმაგი ზედაპირი 36მმ. ფეხები - ხის, მომრგვალებული. საკაბელო არხით. სიმაღლე: 750 მმ

ოპერატორების კუთხე წარმოადგენს ოთხ ერთმანეთთან შეერთებული მაგიდების წყებას, რომელსაც აქვს ნახევარწრის ფორმა და მოსაცდელის ცენტრში ქმნის 90 გრადუსიან კუთხეს

მაგიდის ზედაპირის ზომები: 1600X800

# ოპერატორების სივრცე



## სკამი

მბრუნავი სკამი ნაჭრის რბილი დასაჯდომითა და საზურგით. მეტალის ფეხებით გორგოლაჭებზე. ფერი - ღია ვარდისფერი ან ნაცრისფერი (დამკვეთთან შეთანხმება)

სკამის ზომები:
650/590  50X780  50X880 მმ

## სკამი

სკამი განცალკევებული სავარძლის რბილი  ბალიშითა და მისაყუდებლით. სახელურები - რბილი. მეტალის კონსტუქციის ფეხები ბოლოვდება გორგოლაჭებით. სავარძლის მარეგულირებელი მექანიზმი და ფერი შესათანხმებელია დამკვეთთან.

ზომები:
650X590. 50X780.  50X885

სკამის სავარაუდო ტექსტურა და ფერი შესათანხმებელია დამკვეთთან

## თარო

მასალა: ლამინირებული მდფ ხის ფაქტურით.

სიგანე დამოკიდებულია კედლის ჭრილის ზომაზე, რომელშიც ჯდება თარო.
თაროს სისქე: 36 მმ
სიგრძე: 1100 მმ (სასურველია ადგილზე დაზუსტება).
მანძილი თაროებს შორის: 400 მმ
**თაროების სიმაღლე განისაზღვრება მის ქვემოტ მოთავსებული პრინტერის მოწყობილობის შესაბამისად.**

# მცენარეების სივრცე




ოპერატორებისა და გაყიდვების გუნდის სივრცეს ერთმანეთისგან ჰყოფს ლამინატისგან შედგენილი მართხკუთხა კონსტრუქცია, რომელშიც მოთავსებულია ქოთნები ოთახის მცენარეებით

**შენიშვნა: აღნიშნულ კონსტრუქციაში 230 მმ ის სიმაღლეზე მოთავსებულია ზედაპირი, რომელზეც იდგმევა ქოთნები. აღნიშნული კონსტრუქცია სრულად უნდა მოიცავდეს ბოძებს შორის სივრცეს და უზრუნველყოფდეს უსაფრთხო ბარიერს ოპერატორების სივრცესა და გაყიდვების გუნდის სივრცეს შორის.**

# იატაკი

იატაკის ფაქტურა და მასალა შესათანხმებელია დამკვეთთან.

შესაძლო ვარიანტები: მუხის ფაქტურის ლამინატი ვერტიკალური წყებით ან მუხის ფაქტურის ლამინატი ე.წ ნაძვისებური წყებით (პარკეტის ეფექტი).

# ავეჯის ერთეული

ვარდისფერი გორგოლაჭებიანი სკამი 7

მწვანე გორგოლაჭებიანი სკამი 8

ყვითელი საკონფერენციო სკამი 8

მოსაცდელის დივანი 1

დივანი მენეჯერის ოთახში 1

საკონფერენციო მაგიდა 1

მითერის მაგიდა 1

მენეჯერის მაგიდა 1

კარადა 1

ოპერატორების მაგიდა 4

კონსულტანტების მაგიდა 2

სამზარეულოს ავეჯი 1

სამზარეულოს ავეჯი 1

ნიჟარა კარადით და სარკით 1

კედლის თაროები 1

კონსტრუქცია ყვავილებისთვის 1

შემოსასვლელის მრგვალი მაგიდა 1

შირმა / ტიხარი 2